

დავალებები, როგორც ციფრული სასწავლო ინსტრუმენტი მუსიკალური ფორმის კურსში: შესაძლებლობები, გამოწვევები და პრობლემის გადაჭრის გზები

ბაიბა იაუნსლავიეტე

საკვანძო სიტყვები: დავალებები ერთი არჩევანით, drag and drop, ვიზუალიზაცია, განმარტებითი დავალებები

2024 წელს ამ ნაშრომის ავტორმა შეიმუშავა ციფრული სწავლების ინსტრუმენტი და ახალი კონტენტი სამუსიკო სკოლების მუსიკალური ფორმის კურსისთვის. სწავლების ინსტრუმენტი შეიქმნა ლატვიის ეროვნული კულტურის ცენტრის დაკვეთით, ხოლო სასწავლო კურსი შემუშავდა კომპანია Datorzinību centrs-თან თანამშრომლობით. ამ სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს ხსენებული კურსის ერთი ასპექტი, კერძოდ კი – მასში მოცემული დავალებები. ჩვენ განვიხილავთ ამ დავალებების შემოქმედებითი დივერსიფიკაციის სხვადასხვა შესაძლებლობას, მათ შორის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებს, იუმორის ელემენტებს, ბავშვებსა და მოზარდებს შორის პოპულარული თამაშების კომპონენტებს, ასევე ახსნა-განმარტებით დავალებებს, რომლებიც წაახალისებენ სწორი პასუხების პოვნას, რათა ისინი ასოციაციით დაუკავშირდნენ დამატებით განმარტებებს და შედეგად მოიტანონ უფრო ღრმა ცოდნა მუსიკის სტილური და ჟანრობრივი კონტექსტის შესახებ.

2024 წელს ამ ნაშრომის ავტორმა შეიმუშავა ციფრული სწავლების ინსტრუმენტი – მუსიკალური ფორმის კურსი მუსიკალური სკოლებისთვის. სწავლების ინსტრუმენტი შეიქმნა ლატვიის ეროვნული კულტურული ცენტრის დაკვეთით, ხოლო სასწავლო კურსი შემუშავდა კომპანია Datorzinību centrs-თან თანამშრომლობით. ეს ორწლიანი კურსი მზარდი სირთულის მიხედვით მოიცავს ყველა კლასიკურ ფორმას, პერიოდიდან რონდო-სონატამდე, ასევე განმარტებებს, დაკავშირებულს მუსიკის ანალიზისა და ჟანრების ზოგად პრინციპებთან. კურსის შემუშავებისას ვერბალური ტექსტები, ასევე დამხმარე აუდიო და ვიდეომასალა, ერთ მთლიანობაში იქნა მოექცა.¹ ამ კურსის ფარგლებში არსებული მთავარი შესაძლებლობები:

- 1) ვიზუალიზაციის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება ფორმის გაცნობიერების სტიმულირების მიზნით;
- 2) დამოუკიდებლად მომზადებისა და თვითშეფასების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რაც მიიღწევა სწორი პასუხებით, კომენტარების თანხლებით;
- 3) ინტერაქტიურ ფორმებზე წვდომა, რომლებიც მიუწვდომელია ბეჭდურ სასწავლო რესურსებში. დღესდღეობით ლატვიურ ენაზე არ არსებობს მუსიკალური ფორმის შემსწავლელი ონლაინ კურსები. მართალია, იდეის დონეზე სხვა ენებზე აქა-იქ ვაწყდებით სწავლების გარკვეულ ინსტრუმენტებს, მაგრამ (სულ მცირე, საჯაროდ ხელმისაწვდომ ონლაინ რესურსებში) ჩვენ ვერ მოვიძიეთ მუსიკალური ფორმის კურსი ზემოხსენებული შესაძლებლობებით.

¹ Jaunslaviete, Mūzikas formas mācība.

მეორე მხრივ, ამ ტიპის ელექტრონული კურსის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, მას გამოწვევებიც ახლავს. მუსიკალური ფორმის ანალიზი გულისხმობს მკაცრ სიზუსტეს როგორც რიცხობრივი (ფორმის ნაწილების პროპორციების დასადგენად), ისე ტერმინოლოგიური (მაგალითად, ასოითი გამოსახვა მუსიკალური ფორმებისა: ორნაწილიანი, სამნაწილიანი ფორმები, რონდო, ვარიაციები და ა.შ.) თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ამ კურსის განმავლობაში აუცილებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალი ტერმინის შესწავლა. უკეთეს შემთხვევაში, მოსწავლეები ამ ტერმინების მხოლოდ მცირე ნაწილს თუ იცნობენ წინა კურსებიდან (სპეციალიზებული ინსტრუმენტის კლასი, სოლფეჯიო, მუსიკალური ლიტერატურა და ა.შ.).

ამასთან, მუსიკალურ პრაქტიკაში არსებობს ბევრი მაგალითი, როცა კომპოზიტორები ინდივიდუალურ სახეს აძლევენ მუსიკალურ ფორმას, შორდებიან რა სასწავლო რესურსებში მოცემულ სტანდარტებს. ამან კი შეიძლება დააბნოს გამოუცდელი მოსწავლეები: ნუთუ, კომპოზიტორებმა არ იციან ფორმის წესები, რომლებსაც ჩვენ გაკვეთილზე ვსწავლობთ? მართალია, ამ შესაძლებლობასაც ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ რიც შემთხვევებში კომპოზიტორებს ამოძრავებთ თვითგამოხატვის სურვილი სტანდარტისგან გადახვევის გზით. ამ ტიპის გადახვევა სასარგებლოა კომპოზიტორის სტილთან გაცნობის კუთხით, რაც ნებისმიერი მუსიკის ანალიზის არსებით მიზანს წარმოადგენს.

სხენებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ძირითადი გამოწვევა მდგომარეობს ახალი ტერმინების მთელი ასორტიმენტის სტუდენტისთვის ეფექტიანად წარდგენაში. ერთ-ერთი მთავარი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები აკავშირებენ მუსიკალურ ფორმებს რთულ მათემატიკურ ფორმულებთან ან დაუძლეველ გრამატიკულ კონსტრუქციებთან, რომლებსაც თითქმის არაფერი აქვთ საერთო მუსიკასთან.

ამ ნაშრომის მიზანია ისეთი მიდგომის შეთავაზება, რომელიც მაქსიმალურად იყენებს ელექტრონული კურსის შესაძლებლობებს და სძლევს გამოწვევებს ერთი კონკრეტული ასპექტით – კურსში შეტანილი დავალებების განხილვის გზით.

კურსის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო რიგი მოსაზრებები სამეცნიერო ლიტერატურიდან:

- ბავშვები და მოზარდები მე-20 და 21-ე საუკუნეებში ხშირად ითვლებიან „ციფრულ აბორიგენებად“.² პოლიქსენი კაიმარას და იოანის დელიანის თანახმად, „სასწავლო პროცესისგან მისი [ციფრული მედია] მოწყვეტით როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ, განათლება, სულ მცირე, არაეფექტიანი და მოსაწყენია“.³
- ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების სპეციფიკური ფუნქციების აღწერისას განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვიზუალური სტიმულირება. ამის მიზეზია ვიზუალური მედიის გავლენა, რომელიც დღეს ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის საქმიანობაში. ნიკოლას აბერკრომბისა და ბრაიან ლონგჰურსტის მოსაზრება, რომ თანამედროვე საზოგადოება არის „ვიზუალური ბუნების საზოგადოება“, 21-ე საუკუნეშიც ძალაში რჩება.⁴
- უშუალო, პირდაპირი და ინტერაქტიური უკუკავშირი წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ ატრიბუტს,⁵ რის საფუძველზე კაიმარა და დელიანისი,⁶ ასევე ბევრი სხვა მკვლევარი,⁷ დიდ ყურადღებას უთმობს თამაშებზე დაფუძნებული ან „გათამაშებული“ ციფრული სწავლების იდეას.
- ასევე აღსანიშნავია ლინდა დანიელას რეკომენდაცია, რომ ციფრული ტრენინგი, მათ შორის დავალებების სისტემა, პასუხობდეს რამდენიმე დიდაქტიკურ კრიტერიუმს, რომლებიც უზრუნველყოფს „საკუთარ თავზე მიმართულ სწავლას“ და

2 Barlow, A Declaration, 1996; Prensky, Digital, 2001; Kaimara, Deliyannis, Why, 2019.

3 Kaimara, Deliyannis, Why, 2019, p. 129.

4 Abercrombie, Longhurst, Audiences, 1998, p. 87.

5 Salen, Zimmerman, Rules, 2004.

6 Kaimara, Deliyannis, Why, 2019.

7 De Freitas, Learning, 2017.

„ხელს უწყობს სწავლის განვითარებას“.⁸

დავალბათა ძირითადი ტიპები

ელექტრონულ კურსში დავალებები მოცემულია ორი კონტექსტით:

- 1) ზოგადი რეკომენდაციები ინდივიდუალური კომპოზიციების ანალიზისთვის - სპეციფიკური ფორმების მაგალითები;
- 2) სპეციფიკური შეკითხვები კონკრეტული კომპოზიციების შესახებ.

პირველი ტიპის დავალება არ ასახავს ონლაინ კურსის უპირატესობებს, ანუ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად კარგად გაითავისა მოსწავლემ თეორია. ამ ტიპის დავალებები ჭარბობს მუსიკალური ფორმების შესწავლის არსებულ ბეჭდურ რესურსებში, ისეთი ავტორიტეტული გამოცემების ჩათვლით, როგორიცაა უილიამ კაპლინის „კლასიკური ფორმის ანალიზი. მიდგომა საკლასო ოთახში“ (2013).⁹ მართალია, ეს დავალებები ცალსახად ახდენენ აზროვნების სტიმულირებას მოსწავლეებში, მაგრამ ვერ ამაღლებენ მათ თვითდაჯერებულობას, დავალების შესრულებისას სწორი პასუხის მიგნებისას. ამ ტიპის დავალება ითხოვს დამატებით მუშაობას საკლასო ოთახში, მასწავლებლის თანდასწრებით, რომელიც აკონტროლებს და ასწორებს მოსწავლეთა მიერ შეთავაზებულ ამოხსნას.

ჩვენს ელექტრონულ კურსში მეორე ტიპის დავალებები ისეა შედგენილი, რომ გამოყენებული იყოს ონლაინ ვერსიის უპირატესობები, რადგან მოსწავლეებს აქვთ საშუალება, უმაღლესადამოწმონ თავიანთი პასუხები,¹⁰ მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოცემულ მომენტში მასწავლებელი ხელმისაწვდომი. შედეგად, მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა და მნიშვნელოვანი დოზით თვითგანათლება. მართალია, ამ დავალებებში მოცემულია შეკითხვები არაორაზროვანი პასუხებით, მაგრამ ამ შემთხვე-

ვის გათვალისწინებითაც საკმაოდ მრავალფეროვანი დავალებების შეთავაზებაა შესაძლებელი.

ყველაზე მარტივი დავალებები - ერთი არჩევანით, უკვე ფართოდაა გამოყენებული. ეს არის ტესტები და-ხურული კითხვებით, სადაც მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ერთი ვარიანტი რამდენიმე სავარაუდო პასუხიდან (იხ. ილუსტრაცია 1).

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა აუდიტორიისთვის დავალებების შესრულება მხოლოდ ერთი პრინციპის (ერთი პასუხის) საფუძველზე გარკვეული დროის შემდეგ მოსაწყენი ხდება. სასურველია, თუნდაც მცირეოდენი ცვლილება, სხვა ინტერაქტიური მეთოდის გამოყენებით. მაგალითად, „მიუთითე და დააჭირე“ მეთოდი შეიძლება ჩავანაცვლოთ drag-and-drop პრინციპით, „დახარისხების აქტივობის“ გამოყენებით (იხ. ილუსტრაცია 2).

რამდენიმე დავალება შეიცავს სხვადასხვა ობიექტის ვიზუალიზაციას. აქაც გამოიყენება drag-and-drop პრინციპი. ონლაინ რესურსებში არსებული იდეების ზოგჯერ იუმორის ელემენტებით (მაგალითად, Tone Deaf Comics),¹¹ განვითარების გზით, ჩვენს ელექტრონულ კურსში შეტანილია შესაბამისი ცოდნის განმსაზღვრელი ტესტი (იხ. ილუსტრაცია 3). გამოკითხვა ტარდება რონდოსებური ფორმების შესწავლის შემდეგ.

როგორც წესი, მოსწავლეებს ასევე აინტერესებთ პიანისტიკა და პროფესორის - ჯოსლინ სვიგერის იუმორისტული „სონატური ფორმის სიმღერა“.¹² მე ეს სიმღერა გამოვიყენე მარტივი დავალების საფუძველად: მოსწავლეებმა უნდა უყურონ ვიდეოს და (ინგლისური ენის ცოდნის გამოყენებით) დაწერონ ლატვიური ტერმინები, რომლებიც შეესაბამება სიმღერაში ნახსენები სონატური ფორმის ნაწილებს (ტესტის ჩატარებამდე მოსწავლეები თეორიულად ეცნობიან სონატურ ფორმას). ცხადია, ორ ენაზე (ინგლისური და ლატვიური) ტერმინების შედარება წარმოადგენს ფორმის შესწავლის მნიშვნელოვან ას-

8 Daniela, Smart, 2019, p. 17.

9 Caplin, Analyzing, 2013.

10 ნაწილობრივ, მსგავსი მიდგომა გვხვდება, მაგალითად, ელექტრონულ წიგნში „მუსიკის თეორია: მუსიკალური სტრუქტურების კვლევა“ (Prodigy Books, 2003).

11 Tone Deaf Comics was created and continues to be run by John Bogenschutz.

12 Swigger, Sonata, 2014.

პექტს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მუსიკალური სკოლის ბევრ მოსწავლეს, დიდი ალბათობით, გატარებული აქვს გარკვეული დრო უცხოეთში განათლების მისაღებად. შესაბამისად, კურსის განმავლობაში ხშირად ისმის ეს და სხვა ინგლისური ტერმინები, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდა მათი კიდევ უფრო მიმზიდველი სახით გამოყენება დავალების ფარგლებში. სონატური ფორმის - როგორც ერთ-ერთი რთული ფორმის კონტექსტში, ეს იუმორისტული და მარტივი დავალება საკმაოდ სახალისოდ გამოიყურება. (იხ. ილუსტრაცია 4).

ეს, რაც შეეხება არაორაზროვან პასუხებს, რომლებიც განსაკუთრებით მოსახერხებელია ონლაინ მეცადინეობის შემთხვევაში. და მაინც, რჩება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ნაწარმოების ფორმასა და სტილისტიკას შორის კავშირების გაცნობიერების სტიმულირება დავალებების მეშვეობით? და შესაძლებელია თუ არა ისეთი კომპოზიციების გაანალიზება, რომლებშიც ფორმა იმდენად ინდივიდუალურია, რომ იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საშუალებას?

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის დავალებები უფრო მიზანშეწონილია დასწრებითი სწავლებისთვის, თუმცა ონლაინ ვერსიაც გვთავაზობს გარკვეულ შესაძლებლობებს ამ თვალისაზრისით. ელექტრონული კურსის ფარგლებში მე მივმართე დავალებების ჯგუფს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „განმარტებითი“. ერთ-ერთი მათგანი ეყრდნობა ენის (უცხო ენების ჩათვლით) სწავლებისას გამოყენებულ ცნობილ მოდელს: მოცემულია თხრობა, ხოლო სტუდენტებმა უნდა შეავსონ ცარიელი სივრცეები ყველაზე შესაფერისით, შეთავაზებული სიტყვებიდან. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არჩევანი უნდა დაეფუძნოს არა გრამატიკას, არამედ მუსიკალური ფორმის ტერმინოლოგიას. ვფიქრობ, ჩემი მომზადებული თხრობა ასახავს მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებიც ეხება კომპოზიციის სტილურ და ჟანრობრივ კონტექსტს და ზოგად კონცეფციას. გამოვთქვამ იმედს, რომ მოსწავლეს მისი რამდენიმე დეტალი მაინც დაამახსოვრდება, რითაც შეიქმნება ასოციაციები და კავშირები მოცემულ დავალებასთან. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს დავალება „მუსიკალური

ჟანრების“ მონაკვეთიდან (იხ. ილუსტრაცია 5). იგი ეხება სხვადასხვა ჟანრის გავლენას, რომელიც სხვადასხვაგვარად ვლინდება ფრედერიკ შოპენის ნოქტიურნის (თხზულება 48 #1, დო მინორი) სამ ნაწილში. (შედგენილი სამნაწილიანი ფორმა).

ასარჩევი ტერმინების სია მოცემულია მარჯვნივ (ისინი შეიძლება ერთზე მეტჯერ იყოს მოცემული, ასევე არაა აუცილებელი, რომ გამოყენებული იყოს ყველა ტერმინი): **რომანტიზმი, სტილი, ჟანრების დაპირისპირება, ვალსი, ჟანრების სინთეზი, ეტიუდის მსგავსი ხასიათი, ქორალის მსგავსი ხასიათი, სამგლოვიარო მარში.**

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლეებს ექმნებათ შესაძლებლობა, წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა არა მხოლოდ ფორმებთან, არამედ სხვადასხვა ჟანრსა და მუსიკალური ენის პარამეტრებთან დაკავშირებით.

განმარტებითი დავალების კიდევ ერთი ტიპი დაკავშირებულია რობერტ შუმანის სიმღერასთან Waldgespräch („ტყის დიალოგი“). ეს ნაწარმოები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სონატური ფორმის თავისუფალი ინტერპრეტაცია და, ამავე დროს, მოდიფიცირებული სტროფული ფორმა. რადგან სტრუქტურა აქ უკიდურესად ინდივიდუალიზებულია, უსამართლო იქნება, თუკი მოსწავლეებს მივცემთ უფლებას, თავად გადაწყვიტონ, ამ ორი ფორმიდან რომელია „სწორი“ და რომელია „არასწორი“. ნაცვლად ამისა, მე ვთავაზობ მათ ორივე შესაძლო ინტერპრეტაციას და ვსვამ კითხვებს ორივე შეხედულებიდან გამომდინარე, რის შედეგად იქმნება ორი დავალება ერთი არჩევანით. დავალების ტექსტის თარგმანი:

ამ სიმღერის ფორმა რომანტიკულად ორაზროვანია. ერთი მხრივ, იგი შეიძლება აღიწეროს, როგორც შედგენილი სტროფული ფორმა, ხოლო მეორე მხრივ - როგორც სონატური ფორმის თავისუფალი ინტერპრეტაცია. სტროფული ფორმის თვალთახედვით, რამდენი სტროფისგან შედგება ეს სიმღერა? პასუხები: 1, 2, 3, 4.¹³

სონატური ფორმის თვალსაზრისით, ჩამოთვლილთაგან რომელ თავისებურებებს ვხედავთ ამ სიმღერაში? პასუხის ვარიანტები: მეორე თემა, როგორც პირველი თემის მონოთემატური ვერსია; [სონატის

13 Jaunslaviete, Sonātes.

ფორმა] დამუშავების გარეშე; [სონატის ფორმა] სარკისებური რეპრიმით.

ზოგიერთი განმარტებითი დავალება ფორმულირებულია ღია კითხვების სახით, ანუ მოსწავლეებს არ უწევთ ორ შესაძლო პასუხს შორის არჩევა. ნაცვლად ამისა, ისინი გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს და შემდეგ ადარებენ მათ კურსის ავტორის მიერ შეთავაზებულ განმარტებებს. ამ შემთხვევაში, თავად შეკითხვების ორპიროვნებიდან გამომდინარე, აბსოლუტური თანხვედრა შეუძლებელია, თუმცა მოსწავლეებს აქვთ საკუთარი მოსაზრებებისა და კურსის ავტორის იდეების მსგავსების თუ განსხვავებულობის დანახვის შესაძლებლობა. ამის მაგალითია დავალება, რომელიც ეხება მუსიკალური ნაწარმოების ხასიათს, როგორც ჟანრობრივი ტიპოლოგიის ერთ-ერთ კრიტერიუმს (იხ. ილუსტრაცია 6).¹⁴

სპეციალური ბარათების მეშვეობით მოსწავლეებს აქვთ საშუალება, შეადარონ საკუთარი მოსაზრებები კურსის ავტორის იდეებს (იხ. ილუსტრაცია 7).

მუსიკალური ფორმების ონლაინ სწავლების ძლიერი მხარეები თავს იჩენს დავალებებში არაერთგვაროვანი პასუხებით, რომლებიც ძირითადად კონცენტრირებულია ანალიზის მეთოდის რაციონალური ასპექტების (სწორი ტონალობის და ფორმის ნაწილების დასაწყისის დადგენა, ასევე სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება) განვითარებაზე. მეორე მხრივ, სასურველია, რომ დავფიქრდეთ შემოქმედებითი გზებით ამ დავალებების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებზე, რაც უდავოდ უფრო მიმზიდველს გახდის მათი დივერსიფიკაციის შესაძლო ფორმებს:

- რიგი ინტერაქტიური მეთოდები: მაგალითად, დავალებებში დახურული კითხვებით (ილუსტრაციები 1-2). ამ ელექტრონული კურსის შემუშავებამ დაგვანახა, რომ drag-and-drop მეთოდი იძლევა მეტ მრავალფეროვან პრაქტიკულ შესაძლებლობას, რადგან გადარჩევისა და შეკერების სხვადასხვა გზა ეხმარება მოსწავლეს, გაერკვეს მუსიკალური ფორმების ტიპოლოგიებსა და ქვეტიპოლოგიებში.
- ინტერდისციპლინარული მიდგომა, რაც გამოიხატება ვიზუალური პარალელების გამოყენებით (ილუსტრაცია 3), ან მუსიკალური სკოლის სხვა საგნებთან კავშირის ხაზგასმით: მაგალითად, ინგლისურენოვანი კურსები (ილუსტრაცია 4).
- იუმორი (ილუსტრაცია 4) - გარკვეული დოზით იუმორს შეუძლია მოსწავლის ინტერესის გაღვივება.
- განმარტებითი დავალებები. ეს დავალებები ემსახურება მოსწავლეთა წახალისებას, გააბან ასოციაციური კავშირები პასუხსა და მასზე დართულ განმარტებას შორის, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის მუსიკის სტილური და ჟანრული კონტექსტის უფრო ფართო გაცნობას, რითაც გაფართოვდება მათი თვალსაწიერი (ილუსტრაციები 5-7).
- ჩვენი ელექტრონული კურსის პროექტი ჯერ კიდევ განხორციელების საწყის ეტაპზეა. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან მიღებული უკუკავშირის შემდეგ, კურსი დაიხვეწება და გაგრძელდება ძიება ახალი შესაძლებლობებისა, რათა კურსს დაემატოს მეტი შემოქმედებითი დავალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Abercrombie N., Longhurst B. J.. Audiences: A Sociological Theory of Performance and Imagination, London, 1998.
- Balducci F., Grana C., Affective classification of Gaming Activities Coming from RPG Gaming Sessions, in: E-Learning and Games. 11th International Conference, Edutainment 2017, Bournemouth, UK, June 26–28, 2017, Revised Papers, Switzerland, pp. 93–100.
- Caplin W. E., Analyzing Classical Form: An Approach for the Classroom. Oxford, New York, 2013.
- Daniela L., Smart Pedagogy for Technology-Enhanced Learning, Switzerland, 2019, pp. 3–21.
- Freitas S., Learning in Immersive Worlds: A Review of Game-Based Learning, Bristol, 2006.

¹⁴ Jaunslaviete, Mūzikas.

- Jaunslaviete B., Mūzikas formas mācība. <https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/> 25/07/2025
- Kaimara P., Deliyannis I., Why Should I Play This Game? The Role of Motivation in Pedagogy, 2019, pp. 113–137.
- Prensky M., Digital natives, Digital Immigrants: Origins of Terms, Horizon, 9(5), 2001, pp. 1–6. <https://www.marcprensky.com/writing/Prensky%20-%20Digital%20Natives,%20Digital%20Immigrants%20-%20Part1.pdf> 25/07/2025
- Prodigy books, Music Theory: Exploring Musical Structure, 2023. https://www.google.lv/books/edition/Music_Theory_Exploring_Musical_Structure/RsXJEAAQBAJ?hl=lv&gbpv=1 25/07/2025
- Salen K., Zimmerman E., Rules of Play: Game Design Fundamentals. Cambridge, Massachusetts, 2004. <https://gamifique.wordpress.com/wp-content/uploads/2011/11/1-rules-of-play-game-design-fundamentals.pdf> 25/07/2025
- SWIGGER Jocelyn. Sonata Form Song. 2014. <https://www.youtube.com/watch?v=L7PfGTtUC84>.
- TONE DEAF COMICS. Musical Forms. <https://www.tondeafcomics.com/products/musical-forms>.

TASKS AS PART OF A DIGITAL TEACHING TOOL FOR A COURSE IN MUSICAL FORM: OPPORTUNITIES, CHALLENGES AND SOLUTIONS

Baiba Jaunslaviete

Keywords: *single-choice tasks, drag and drop, visualisation, explanatory tasks*

In 2024, the author of the paper developed a digital teaching tool and new content for a course in musical form for music secondary schools. The teaching tool was commissioned by the Latvian National Cultural Centre, and the course was created in cooperation with the Datorzinību centrs company. The purpose of the paper is to introduce one aspect of this course, namely, the tasks included in it. Various opportunities for the creative diversification of the tasks are discussed, including tools for visualisation, elements of humour, game elements popular among children/youth, and explanatory tasks, which encourage the search for the correct answer to be associatively linked with the added explanation and are aimed at learning more about the stylistic and genre context of the music.

Introduction

In 2024, the author of the paper developed a digital teaching tool – a course in musical form for music secondary schools. The course was commissioned by the Latvian National Cultural Centre, and it was created in cooperation with the Datorzinību centrs company. The two-year course covers all the main classical forms in increasing difficulty, from the period to the sonata rondo, as well as descriptions related to the general principles of music analysis and musical genres. Verbal texts, as well as audio and visual aids, were combined in the development of the materials.¹

The main **opportunities** provided by this course are:

- 1) use of various visualisation tools that stimulate the understanding of the form,
- 2) great possibilities for self-training and self-evaluation through tasks whose correct answers are supplemented with comments,
- 3) access to forms of interactivity that are not available in printed teaching tools.

For the time being, there are no other such online courses on musical form in Latvian. Some ideas can be found in teaching tools in other languages, however, at least in publicly available online resources, it was not

possible to find a systematic offering of a course on musical form in which all the above-mentioned possibilities are realised.

Meanwhile, **challenges** arise from the specific nature of this e-course. The analysis of musical form includes the need to be very precise both numerically (determining the proportions of formal sections) and terminologically (for example, explaining letter designations that indicate a certain form, such as binary form, ternary form, rondo, variations, etc.).

In addition, much new terminology must be learned throughout this course, which students have likely only partially encountered in various previous courses (special instrument class, ear training, music literature, etc.).

At the same time, there are many examples in the musical praxis in which composers individualise a musical form, departing from the standards defined in the teaching tools. This can confuse inexperienced students: do the composers themselves not know the rules of form, which we must learn in this class? We cannot rule this out; however, in many cases, the composer merely wished to express his or her individuality with a deviation from the standard. This deviation can be helpful for understanding the composer's style, which is an essential goal of any music analysis.

¹ Jaunslaviete, Mūzikas for mas mācība.

The main challenge that stems from these considerations is how to most effectively introduce the student to the wide range of new terms. One of the main dangers is that students will associate musical forms with complex mathematical formulas or difficult-to-understand grammatical constructions far removed from the music itself.

The **purpose** of this paper is to introduce an approach that makes use of most of the opportunities and overcomes the challenges of the e-course by discussing one particular aspect – the tasks included in the course.

In creating the course, several insights from the scientific literature were taken into account:

- Children and young people in the late 20th century and the 21st century are often considered ‘digital natives’². As Polyxeni Kaimara and Ioannis Deliyannis aptly state, “by preventing them [digital media] from the learning process, inside and outside the classroom, all we can do is to make the education of students ineffective and boring”³.
- When describing specific functions of digital learning tools, visual stimulation should be highlighted in particular. It results from the influence of visual media, which nowadays plays a very important role in human activity. The statement by Nicholas Abercrombie and Brian Longhurst that the contemporary society is a “society of visuality” can also be applied to the 21st century⁴.
- Based on the recognition that direct and interactive feedback are among the most attractive features of digital technology⁵, Kaimara and Deliyannis⁶ as well as many other researchers⁷ have devoted much attention to the idea of digital game-based learning, or gamification.
- Linda Daniela’s recommendation to organise digital training, including the task system, in such a way

that it meets several didactic criteria, including “ensures self-directed learning” and “helps to develop learning”, is worth considering⁸.

Main types of tasks

In the developed e-course, tasks are used in two contexts:

- 1) general recommendations for the analysis of individual compositions – examples of specific forms;
- 2) specific questions about certain compositions.

The first type of task does not reflect the advantages of the online course, that is, it is not possible to check how well the student has understood the theory. Such tasks dominate in the existing printed tools for learning musical form, including authoritative editions such as *Analyzing Classical Form. An Approach for the Classroom* by William Caplin⁹ (2013). Undoubtedly, they stimulate the thinking of students, but not the confidence that they have found the correct answer in solving a task. This kind of task requires additional work in the classroom and the presence of a teacher who controls and corrects the solutions proposed by the students.

The second type of task in this e-course is designed in such a way that the advantage of the online version can be used, namely, it allows students to check their answers immediately,¹⁰ regardless of the presence of a teacher; as a result, they can work more independently and to a large extent self-educate. However, these tasks require questions with unambiguous answers. Nevertheless, even within these limits, a fairly large variety of tasks is possible.

The simplest of them are the already widely used single-choice tasks – tests with closed questions in which students must choose one of several offered answers (see Fig. 1):

2 Barlow, A Declaration, 1996; Prensky, Digital Natives, 2001; Kaimara and Deliyannis, Why Should I Play this Game?, 2019.

3 Kaimara and Deliyannis, Why Should I Play this Game?, 2019, p. 129.

4 Abercrombie, Longhurst, Audiences, 1998, p. 87.

5 Salen and Zimmerman, Rules of Play, 2004.

6 Kaimara and Deliyannis, Why Should I Play this Game?, 2019.

7 De Freitas, Learning in Immersive Worlds, 2006; Balducci and Grana, Affective Classification, 2017; etc.

8 Daniela, Smart Pedagogy, 2019, p. 17.

9 Caplin, Analyzing Classical Form, 2013.

10 A partially similar approach is used, for example, in the e-book Music Theory: Exploring Musical Structure (Prodigy Books, 2023) offers a wide range of this type of tasks (quizzes) as well as the correct solutions at the end of the book. However, it focuses only on the theoretical description of the learned terminology; musical examples of various forms are not reflected in the tasks.

However, for a young audience, solving tasks based on one principle (single choice) for a long time could become boring. A desirable, albeit small, change is to use another interactive technique; for example, the point-and-click technique can be replaced with the drag-and-drop principle, using sorting activity (see Fig. 2).

Several tasks include the visualisation of various objects, and the drag-and-drop principle is also used here. By developing ideas already found in online sources, sometimes with elements of humour (such as *Tone Deaf Comics*)¹¹, the following matching knowledge test is included in the e-course (see Fig. 3). It should be completed after learning about rondo-like forms.

Usually students are also interested in the humorous *Sonata Form Song* created by pianist and professor Jocelyn Swigger¹². I used this song as the basis for a simple task: students must watch the video and, using their knowledge of English, write the Latvian terms corresponding to the sections of the sonata form mentioned in the song (before this task, the students have been theoretically introduced to the sonata form). Comparing the terminology in the two languages, English and Latvian, is undoubtedly an important aspect of learning the form, especially considering that a large number of current music school students will probably spend at least some time abroad during their studies. Therefore, the parallel names of these and other terms in English are mentioned often during the course, but in this case it was also possible to include them in an attractive way in a task. In the context of the sonata form as one of the most complex forms, this humorous and easy task seems even relaxing (see Fig. 4).

So much for the tasks with unequivocal answers, which are especially suitable for online training. And yet the question remains: is it possible to stimulate with tasks the understanding of ties between the musical form and the stylistics of a piece, and to analyse compositions in which the form is so individualised that it can be interpreted in many ways?

As already noted above, such tasks are preferred for classes in which students meet their teacher in person. However, the online version also opens certain possibili-

ties in this regard. In my e-course, I have offered a group of tasks that could be labelled as explanatory. One of them is based on a well-known model used in language training (including foreign languages): a narrative is given, and students must fill in the empty fields with the most suitable words from the selection that is offered. In this case, of course, the choice should be based not on grammar but on the terminology of the musical form. The narrative I have prepared reflects, in my view, important aspects related to the stylistic and genre context and overall concept of a composition. Hopefully, at least some of its details will remain in the student's memory, creating associative ties with the task being solved. One example is a task in the "Music genres" section (see Figure 5); it deals with influences from various genres, which manifest themselves differently in the three parts (a compound ternary form) of the Nocturne in C minor op. 48 no. 1 by Frédéric Chopin.

By answering the proposed questions, students have the opportunity to show not only their knowledge of form, but also their familiarity with various genres and parameters of musical language.

Another type of explanatory tasks is related to the song *Waldgespräch (A Forest Dialogue)* by Robert Schumann. This work could be viewed both as a free interpretation of sonata form and as a modified strophic form. Since the structure is highly individualised, it would not be fair to make the students decide for themselves which of the two forms is in the foreground by marking the answer as simply "correct" or "incorrect". Instead, in the explanatory task, I present both possible interpretations and also ask questions from both possible points of view; thus, a combination of two single-choice tasks is formed. The translation of the text of the task:

The form of this song is romantically ambiguous. On the one hand, it can be described as a compound strophic form, on the other hand, as a free interpretation of sonata form. From the perspective of the strophic form, how many strophes does the song have? Answers: 1, 2, 3, 4.¹³

From the perspective of the sonata form, which of these peculiarities does this song have? Answers to

¹¹ Tone Deaf Comics was created and continues to be run by John Bogenschütz.

¹² Swigger, Sonata Form Song, 2014.

¹³ Jaunslaviete, Sonātes forma.

choose from: a second subject as a monothematic version of the first subject; [sonata form] without development; [sonata form] with a mirror recapitulation.

Some of the explanatory tasks are designed as open questions, i.e., students do not have to choose between possible answers but must instead express their own thoughts and then compare them with the explanations offered by the author of the course. In this case, due to the ambiguity of the questions, a complete match is not possible, however, students can check whether they and the author of the course are thinking in approximately the same direction. An example is a task that deals with the character of the music as one of the criteria in the typology of genres (see Fig. 6¹⁴).

The answer that students can compare with their version is shown using flashcards (see Fig. 7).

Conclusions

The strengths of the online teaching of musical form are most convincingly revealed in tasks with unequivocal answers. These are focused mainly on developing the rational aspects of the analysis technique (determining the correct tonalities, beginnings of formal sections, choosing the correct terminology). However, it is desirable to think about the

possibilities of creatively diversifying these tasks, which will certainly make them more attractive from the

students' point of view. This diversification can take the following forms:

- Various interactive techniques, for example, in tasks with closed questions (Figs. 1–2). The development of this e-course has let us conclude that drag-and-drop opens up more diverse possibilities in its application, because different kinds of sorting and matching activities help one better navigate the many typologies and sub-typologies of the musical forms.
- An interdisciplinary approach. This is manifested by using visual parallels (Fig. 3) or highlighting the ties with other study courses at music secondary schools, for example, English (Fig. 4).
- Humour (Fig. 4). Its certain amount can also help promote students' interest.
- Explanatory tasks. These encourage students to form associative ties between the answer and the added explanation, which is aimed at acquainting students with the stylistic and genre context of the music more widely, thus deepening the students' horizons (Figs. 5–7).

The e-course project is still at the initial stage of realisation. After receiving feedback from students and teachers, the e-course will be improved and opportunities to add more creative tasks will be continuously sought.

REFERENCES:

- Nicholas ABERCROMBIE, Brian J. LONGHURST. *Audiences: A Sociological Theory of Performance and Imagination*. London: SAGE Publications, 1998.
- Fabrizio BALDUCCI, Costantino GRANA. Affective classification of Gaming Activities Coming from RPG Gaming Sessions, in: *E-Learning and Games. 11th International Conference, Edutainment 2017, Bournemouth, UK, June 26–28, 2017, Revised Papers*. Switzerland, Cham: Springer, pp. 93–100.
- William E. CAPLIN. *Analyzing Classical Form: An Approach for the Classroom*. Oxford, New York: Oxford University Press, 2013.
- Linda DANIELA. Smart Pedagogy for Technology-Enhanced Learning, in: Linda DANIELA (ed.). *Didactics of Smart Pedagogy: Smart Pedagogy for Technology Enhanced Learning*. Switzerland, Cham: Springer International Publishing, pp. 3–21.
- Sara de FREITAS (2006). *Learning in Immersive Worlds: A Review of Game-Based Learning*. Bristol: Joint Information Systems Committee.
- Baiba JAUNSLAVIETE. *Mūzikas formas mācība*. <https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/>

14 Jaunslaviete, Mūzikas žanri.

- Baiba JAUNSLAVIETE. Mūzikas žanri, in: Mūzikas formas mācība. <https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/lessons/IsPa6ArbLOlq3wUoCzg2031beasHGGAj>
- Baiba JAUNSLAVIETE. Periods, in: Mūzikas formas mācība. <https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/lessons/2iCTvabehKYqEB6JZunQLLealAg6n28Ea>
- Baiba JAUNSLAVIETE. Rondo, in: Mūzikas formas mācība. https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/lessons/Qx_xwPXwuoXcNPCAzRpkgN0vaM1xGsWI
- Baiba JAUNSLAVIETE. Sonātes forma, in: Mūzikas formas mācība. <https://metodiskiemateriali.lnkc.gov.lv/macibu-materiali/Uploads/resources/muzikas-formas-maciba/#/lessons/OuygSXbhbKA5NWmhB-dymz0TF-xgn-Wz>
- Polyxeni KAIMARA, Ioannis DELIYANNIS (2019). Why Should I Play this Game? The Role of Motivation in Pedagogy, in: Linda DANIELA (ed.). Didactics of Smart Pedagogy: Smart Pedagogy for Technology Enhanced Learning. Cham, Switzerland: Springer International Publishing, pp. 113–137.
- Marc PRENSKY. Digital natives, Digital Immigrants: Origins of Terms. Horizon (MCB University Press), 9(5), 2001, pp. 1–6. <https://www.marcprensky.com/writing/Prensky%20-%20Digital%20Natives,%20Digital%20Immigrants%20-%20Part1.pdf>
- PRODIGY BOOKS. Music Theory: Exploring Musical Structure. USA: Prodigy Books, 2023. https://www.google.lv/books/edition/Music_Theory_Exploring_Musical_Structure/RsXJEAAAQBAJ?hl=lv&gbpv=1
- Katie SALEN, Eric ZIMMERMAN. Rules of Play. Game Design Fundamentals. Cambridge, Massachusetts, etc.: MIT Press, 2004. <https://gamifique.wordpress.com/wp-content/uploads/2011/11/1-rules-of-play-game-design-fundamentals.pdf>
- Jocelyn SWIGGER. Sonata Form Song. 2014. <https://www.youtube.com/watch?v=L7PfGTtUC84>
- TONE DEAF COMICS. Musical Forms. <https://www.tondeafcomics.com/products/musical-forms>

1. Kurā taktī beidzas šajā piemērā redzamais periods? Izvēlies un atzīmē pareizo takts numuru.



- ☐ 4. taktī
- ☐ 6. taktī
- ☐ 8. taktī
- ☐ 10. taktī

1. დაგალობა „პერიოდის“ ნაწილიდან, პირველი წლის კურსი (მკრანის ფორმ). კითხვა: რომელ ტაქტში მთავრდება პერიოდი? აირჩიეთ სწორი პასუხი. პასუხები: მე-4 ტაქტი, მე-6 ტაქტი, მე-8 ტაქტი¹

A TASK FROM THE “PERIOD” SECTION IN THE FIRST-YEAR COURSE (A SCREENSHOT). Question: In which bar does the period conclude? Choose and mark the correct bar number. Answers: bar 4, bar 6, bar 8

¹ Jaunslaviete, Periods.

Izvēlies, kurus no zemāk minētajiem jēdzieniem var attiecināt uz šo periodu?

**Vienotas (neatkārtotas)
tematiskas uzbūves**



Var attiecināt

Nevar attiecināt

2. **დავალება „პერიოდის“ მონაკვეთიდან (ეკრანის ფოტო).** კითხვა: ქვევით მოტანილი ცნებებიდან რომელია დაკავშირებული ამ პერიოდთან? გამუქებული ტექსტი: პერიოდი სამი წინადადებით. პასუხები უნდა იყოს „გადმოტანილი და ჩადებული“ (drag and dropp) ყუთში წარწერით: „დაკავშირებულია“ ან „არაა დაკავშირებული“. მას შემდეგ, რაც მოსწავლე შეასრულებს დავალებას, შეთავაზებულია სხვა კითხვები. მაგალითად, „არის თუ არა ეს პერიოდი ტონალური?“, „ხდება თუ არა მოდულაცია ამ პერიოდის ფარგლებში?“ და ა.შ.¹

A TASK FROM THE “PERIOD” SECTION (A SCREENSHOT). Question: Which concepts appearing below are related to this period? Text in bold: Period with three sentences. Answers are dragged and dropped into boxes labelled “related” or “not related”. After the student has completed this task, other questions are offered, for example, “Is this period tonal?”, “Does this period modulate?”, and so on.

¹ Jaunslaviete, Periods.

						
						
						
						
						
						
Pāra rondo	Ritornelforma	Neregulārs rondo	Trijdaļu forma ar piedziedājumu	Divkārša trijdaļu forma	Regulārs rondo	

SUBMIT ✓

3. დავალება „რონდოს“ მონაკვეთიდან (ეკრანის ფოტო). მოსწავლეებმა უნდა მიუსადაგონ გამოსახულებების რიგი რონდოს ან რონდოსებურ ფორმებს: რეგულარული და არარეგულარული რონდო, ეგრეთწოდებული წყვილი რონდო (A B C B D B...), ორმაგი სამნაწილიანი ფორმა (A B A1 B1 A2), რიტურნელის ფორმა (ვოკალური ნაშრომები ინსტრუმენტული რიტურნელით), სამნაწილიანი ფორმა რეფრენით (A R B R A R).¹

A TASK FROM THE “RONDO” SECTION (A SCREENSHOT). Students are asked to match the series of images with several rondo or rondo-like forms: regular and irregular rondo, the so-called pair rondo (A B C B D B...), double ternary form (A B A1 B1 A2), ritornello form (vocal works with an instrumental ritornello), ternary form with a refrain (A R B R A R).

¹ Jaunslaviete, Rondo.

Liec lietā angļu valodas zināšanas un savieno katru dziesmiņā minēto terminu ar atbilstošu latviešu nosaukumu.

≡ exposition	ievads
≡ second theme	ekspozīcija
≡ first theme	galvenā partija
≡ introduction	saistījuma partija
≡ coda	blakus partija
≡ transition	noslēguma partija
≡ development	izstrādājums
≡ recapitulation	reprīze
≡ closing [theme]	koda

4. **დავალება „სონატური ფორმის“ მონაკვეთიდან (ეპრანის ფოტო).** ჯოსლინ სვიგერის „სონატური ფორმის სიმღერის“ მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ ლატვიური სიტყვები, რომლებიც შეესაბამება ინგლისური ტერმინებს ფორმების შერჩეული ნაწილებიდან!

A TASK FROM THE “SONATA FORM” SECTION (A SCREENSHOT). After the listening the *Sonata Form Song* by Jocelyn Swigger, students are asked to write in the Latvian words corresponding to the English names for certain form sections.

1 Jaunslaviete, Sonātes.

Friderika Šopēna Nokturnē op. 48 nr. 1 izpaužas daudzas nokturnēm kopumā raksturīgas iezīmes (klusināts sākums, pavadījuma akordu figuratīvs izklāsts, kas atgādina kādu strinkšķināmo instrumentu). Taču to ietekmējis arī cits žanrs – : īpaši spilgti uz to norāda 3. takts ritma un melodijas formula. Šī ir , jo abu žanru iezīmes parādās vienlaikus, radot skumju un reizē vīrišķīgu tēlu.

Vidusdaļas sākumā (no 25. t.) atklājas vēl kāds žanru mijiedarbes veids – , jo parādās , par ko liecina mūzikas materiāla izklāsts akordu faktūrā. Turpmākajā attīstības gaitā notiek vēl vairākas žanra un rakstura transformācijas, līdz beidzot dinamizētajā reprīzē (no 49. t.) izpaužas jaunā versijā: līdzās nokturnes iezīmēm mūziku caurauž , uz ko norāda viena tipa klavierspēles tehnikas izmantojums visā reprīzes gaitā.

5. დავალება „მუსიკალური ჟანრების“ მონაკვეთიდან¹

ტექსტი მარცხნივ: შოპენის ნოქტიურნი (თხზულება 48 #1, დო მინორი) შეიცავს ზოგადად, ნოქტიურნებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს (იწყება მშვიდად, ხოლო აკომპანემენტის აკორდები ფიგურაციული სახითაა მოცემული და იმიტირებს ჩამოსაკრავ საკრავს). მეორე მხრივ, იგი განიცდის სხვა ჟანრის... გავლენასაც.

ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მე-3 ტაქტის რიტმულ და მელოდიურ ფორმულაში. ეს გახლავთ ..., ანუ ორივე ჟანრის მახასიათებლების ერთდროული გამოჩენით სევდიანი და, იმავე დროს, მამაკაცური ხასიათის შესაქმნელად.

შუა ნაწილის დასაწყისში (25-ე ტაქტიდან) ვხედავთ ჟანრების ურთიერთქმედების ახალ ტიპს. კერძოდ, ... რადგან ... როგორც ამას ცხადყოფს ბლოკ-აკორდებით გადმოცემული მუსიკალური მასალა. გარდა ამისა, სახეზეა ჟანრისა და ხასიათის კიდევ უფრო მძაფრი ტრანსფორმაცია. დაბოლოს, დინამიკურ რეპრიზაში (49-ე ტაქტიდან) ... სხვა სახით გვევლინება: ნოქტიურნის მახასიათებლებთან ერთად ... თვალშისაცემია, რაც გამოიხატება მთელი რეპრიზის განმავლობაში ფორტეპიანოს პარტიაში ერთგვაროვანი ტექნიკის გამოყენებაში.

ასარჩევი ტერმინების სია მოცემულია მარჯვნივ (ისინი შეიძლება ერთზე მეტჯერ იყოს მოცემული, ასევე არაა აუცილებელი, რომ გამოყენებული იყოს ყველა ტერმინი): რომანტიზმი, სტილი, ჟანრების დაპირისპირება, ვალსი, ჟანრების სინთეზი, ეტიუდის მსგავსი ხასიათი, ქორალის მსგავსი ხასიათი, სამგლოვიარო მარში.

A TASK FROM THE “MUSIC GENRES” SECTION (A SCREENSHOT).

The text on the left: Nocturne op. 48 no. 1 by Chopin reflects many features that characterise nocturnes generally (it begins quietly, and the chords in the accompaniment are figured, imitating a plucked instrument). However, it has also been influenced by another genre – ... This is especially noticeable in the rhythmic and melodic formula of bar 3. This is a ..., because the features of both genres appear simultaneously, creating a sad and at the same time masculine character.

The beginning of the middle part (from bar 25), shows another kind of interaction between genres, namely, ..., because ... appears, as evidenced by the musical material being presented in a block chord style. Further, there are more transformations of genre and character, and finally, in the dynamised recapitulation (from bar 49), the ... is manifested in another version: alongside the features of a nocturne, a ... is noticeable, which is indicated by the use of a single type of piano technique throughout the whole recapitulation.

The terms to choose from, on the right (terms may appear more than once, and not all of the terms must be used): romanticism, style, contraposition of genres, waltz, synthesis of genres, étude-like character, chorale-like character, funeral march.

¹ Jaunslaviete, Mūzikas žanri.

Videopiemēri: salīdzini trīs noktirnes! Ko vari secināt par šim žanram atbilstošo mūzikas raksturu?

- Frideriks Šopēns (Frédéric Chopin), Noktirne op. 9 nr. 1 b moll
- Džons Filds (John Field), Noktirne nr. 5 B dur
- Mihails Gļinka (Mikhail Glinka), noktirne "Šķiršanās" (La separation)

6. დავალება „მუსიკის ჟანრების“ მონაკვეთიდან (ეკრანის ფოტო). მოსწავლეებმა უნდა შეადარონ შოპენის, ფილდის და გლინკას ნოქტიურნები და შემდეგ, ამ შედარების საფუძველზე, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები ამ ჟანრისთვის ტიპური მუსიკის ხასიათის შესახებ.¹

A TASK FROM THE "MUSIC GENRES" SECTION (A SCREENSHOT). Students are asked to compare three nocturnes by Chopin, Field and Glinka and then, on the basis of comparison, to formulate their thoughts about the character of music that is typical to this genre.

Klikšķini, lai redzētu kursa
autores skaidrojumu

Vārds *nocturne* tulkojumā no franču valodas nozīmē "naksnīgs", un gan šo, gan daudzu citu noktirņu autori centušies mūzikā atspoguļot naksnīgi klusu, nedaudz noslēpumainu, sapņaini rāmu noskaņu – dažkārt gaišu, bet citreiz arī melnholijas cauraustu.

7. დავალება „მუსიკალური ჟანრების“ მონაკვეთიდან (ეკრანის ფოტო)²

ტექსტი პირველ ბარათზე: დააჭირე და გაეცანი კურსის ავტორის განმარტებას.

ტექსტი მეორე ბარათზე: სიტყვა „ნოქტიურნი“ ფრანგულ ენაზე ნიშნავს „ღამის“. ამ და ბევრი სხვა ნოქტიურნის ავტორები ცდილობდნენ, მუსიკით გამოეხატათ ღამის მყუდრო, ოდნავ იდუმალი, სიზმარივით მშვიდი ატმოსფერო, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნაზი და ჰაეროვანი, ისე მელანქოლიური.

A TASK FROM THE "MUSIC GENRES" SECTION (SCREENSHOTS).

The text on the first flashcard: Click here to see the explanation given by the author of the course.

The text on the second flashcard: In French, the word nocturne means 'nocturnal'. The composers of these and many other nocturnes have strived to reflect in music the quiet, slightly mysterious, dreamily calm atmosphere of night-time, which may be gentle and light, but can also be melancholic.

¹ Jaunslaviete, Mūzikas žanri.

² Ibid.